DEVELOPMENT POLICY FOUNDATION

Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.

# კონფერენციის პროგრამა

22 მარტი, 2016, 15:00

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

## ნამდვილი საერთო სივრცე: ახალგაზრდა პოლონური არქიტექტურული სტუდიოების ჩარევა ინკლუზიური კულტურისთვის

**15:00** კონფერენციის გახსნა: პროფესორი გოჩა მიქიაშვილი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**15:15** სემინარების **SO EAS+Y** შედეგების წარდგენა (კ. შპარკოვსკი, კ. მიკლაშევსკი, ნ. იმნაძე)

**15:45** პოლონელი არქიტექტორები ინკლუზიური არქიტექტურის შესახებ: მაგალითები

მაჩეი შიუდა

მარჩინ კვეტოვიჩი

მათეუშ ადამჩიკი (სტუდიო Bud Cud)

კაროლ შპარკოვსკი, კამილ მიკლაშევსკი (+48 გუნდი)

**16:30** კითხვების & პასუხების სესია

**16:45** საზოგადოებრივი სივრცის ხარისხი: პოლონელი ექსპერტები (განვითარების პოლიტიკის ფონდი)

სილვია შპარკოვსკა

*The project is financed within the programme "Promoting Polish Culture Abroad 2016 Promesa" of the Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.*

+48 Temi

DEVELOPMENT POLICY FOUNDATION

ვოიჩეხ შპოჩინსკი

Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.

**რა არის სემინარი SO EAS+Y**

SO EAS+Y სემინარს ორგანიზებას უწევს ვარშავაში არსებული განვითარების პოლიტიკის ფონდი. პროგრამის მონაწილეები არიან არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები საქართველოდან. ღონისძიების ჩატარების ადგილია გრემი. სემინარის მიზანია სივრცული პროექტის განხორციელება - არტ ინსტალაცია, როგორც ინკლუზიური არქიტექტურის მუდმივი ნიშა გრემში.

**პროექტის შესახებ**

პროექტს ახორციელებს განვითარების პოლიტიკის ფონდი www.fpr.org.pl პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გრანტის საშუალებით. გრანტი მოპოვებულია პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება არქიტექტურული ვორკშოფები პოლონეთის ახალგაზრდა და დამსახურებული არქიტექტურული სტუდიის მონაწილეობით, რომელიც მუშაობს სოციალური ინკლუზიის პრობლემაზე და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა კულტურული ჩართულობის პოპულარიზაციაზე.

არქიტექტორების სტუდია შესთავაზებს და განახორციელებს საჯარო სივრცეში ინტერვენციას მათი მიღწევებისა და "დიზაინის ფილოსოფიის" გამოყენებით, რომლის ბენეფიციარებიც იქნებიან კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობას მოკლებული ადამიანები: ხანდაზმულები, ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

სემინარები იქნება საწყისი ეტაპი დისკუსიისა საქართველოს თანამედროვე კულტურაზე, მის რეალურ ხელმისაწვდომობასა და ჩართულობაზე საზოგადოებრივი სივრცის კონტექსტში.

*The project is financed within the programme “Promoting Polish Culture Abroad 2016 Promesa” of the Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.*

+48

Temi

## არქიტექტორების შესახებ

### მაჩეი შიუდა

არქიტექტორი მაჩიე შიუდა არის ვროცლავის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. მისი დიპლომი „XYZ STRUCTURE“ ბევრ სხვა ადგილთან ერთად წარმოდგენილი იყო ნიუ-იორკის გუგენჰეიმის მუზეუმში. იგი არის საერთაშორისო კონკურსის „Archiprix“ ფინალისტი; დაჯილდოვებულია საპატიო სიგელით კონკურს EEAA-ში: Present in Romania, ასევე SARP-ის მიერ დაწესებული ზბიშეკ ზავისტოვსკის სახელობის ეროვნული ჯილდოთი ნომინაციაში პოლონეთის წლის საუკეთესო დიპლომი და ღირსების სიგელით კონკურსში „BETON“. 2005-2007 წლებში იყო ვალენსიის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის და არქიტექტორთა სტუდია SQ-ის სტიპენდიის მფლობელი. 2008-2011 წლებში იყო არქიტექტურული სტუდიოების, როგორებიცაა „PO2 Arquitectos“ (მადრიდი), „Sou Fujimoto Architects“ (ტოკიო) და „Grupo Aranea“ (ალიკანტე) არქიტექტორი.

მაჩეი შიუდა არის საერთაშორისო არქიტექტურული სემინარების IWAU-ს თანადამფუძნებელი და ექსპერიმენტალური ლაბორატორიული სტუდიო „Balon"-ის კონცეფციის ავტორი. იგი ეწევა აკადემიურ საქმიანობას ფორმის სკოლასა და კელცეს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. მუდმივად თანამშრომლობს და აკეთებს ექსპერიმენტებს როდრიგო გარსია გონსალესთან ერთად. 2012 წლიდან მუშაობს საკუთარ საპროექტო აქტივობებზე. ლოძის არქიტექტურისა და დიზაინის ცენტრის მიერ განხორციელებული გამოფენა „Awangarda Jutra”-ას ფარგლებში მისი სტუდიო დასახელდა პოლონეთის 16 ყველაზე საინტერესო ახალგაზრდა არქიტექტურულ სტუდიოებს შორის, ხოლო Freshlatino2-ის გამოფენაზე როდრიგო გარსიასთან ერთად დასახელდა 12 საუკეთესო ახალგაზრდა ესპანურენოვან სტუდიოებს შორის.

არქიტექტორი და დიზაინერი მდიდარი დიდაქტიკური გამოცდილებით ეწევა საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ კონსულტაციებს. დაჯილდოვებულია

*The project is financed within the programme “Promoting Polish Culture Abroad 2016 Promesa” of the Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.*

საერთაშორისო კონკურსებში, მათ შორის, Holcim Awards Acknowledgement-ის ეკოლოგიურად სუფთა არქიტექტურისთვის (ჰაიტის სკოლა). საფრანგეთის არქიტექტურის ინსტიტუტისთვის შექმნა „Devebere“ - დროებითი პავილიონის პროექტი, რომელიც წარმოდგენილი იყო ვენეციის არქიტექტურული ბიენალეს გახსნაზე; ახორციელებს პროექტებს ესპანეთში, პოლონეთში, იტალიასა და აშშ-ში.

**მათეუშ ადამჩიკი**
**სტუდიო Bud Cud**

სტუდიო BudCud ქმნის პროექტებს არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სფეროში. სტუდიო ფუნქციონირებს 2010 წლიდან მეთიუ ადამჩიკისა (1981) და აგატა ვოჟნიცკას (1986) ხელმძღვანელობით.

BudCud-ი არის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სფეროში გამართული საერთაშორისო პრესტიჟული კონკურსის Europan-ის (E9 ვარშავა, I ადგილი და E11 ლეუვარდენი, საპატიო სიგელი) გამარჯვებული და შინდლერის სახელობის არქიტექტურის ჯილდოს მფლობელი. რუსეთში ვორონეჟის წყლის რეზერვუარის ურბანული განახლების სტრატეგიის შემუშავებისთვის სტუდიო საერთაშორისო კონკურსში გავიდა პირველ ადგილზე, ხოლო ევროპული ბაღის პროექტი დაჯილდოვდა ჩინეთის (ვუჰანი) საბაღო ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე (Garden EXPO).

მოპოვებული აქვს შემდეგი ჯილდოები: MBA არქიტექტურის საერთაშორისო ბიენალე, კრაკოვი 2015; საპატიო სიგელი განხორციელებული პროექტების კონკურსში „ადამიანური განზომილება ურბანულ სივრცეში“, კრაკოვი 2015; არის დაგეგმარების სტრატეგიის კონკურსის - „შანხაის ექსპო არეის გენერალური განვითარების გეგმა - "Shanghai: Making urbanity through passages in the reappropriated expo site" - ფინალისტი, შანხაი 2010; დაჯილდოვდა დაგეგმარების კონცეფციიის კონკურსში - ბილჩის სარეკრეაციო ადგილების გენერალური დაგეგმარება - ბილჩა, პოლონეთი.

BudCud ხელმძღვანელობდა სემინარებს (OSSA, Mood for Wood) და ეწეოდა კონსულტაციებს საერთაშორისო პროექტებისთვის (Wine Park in Telavi, Georgia). ჯგუფი

*The project is financed within the programme “Promoting Polish Culture Abroad 2016 Promesa” of the Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.*

მიეკუთვნება ახალ თაობას, რომელიც თავს უყრის ყველაზე პროგრესულ ახალგაზრდა არქიტექტორთა სტუდიოებს.

მისი პროექტი ვარშავის ყოფილი ინდუსტრიული ადგილის, ვოლას გარდაქმნაზე არის რიგით მე-9 ევროპული კონკურსის (2008) გამარჯვებული. WWAA, MOKO, KAPS და სათაო ოფისებთან ერთად გაერთიანებულია მეტოპოლიტური საზოგადოებრივი სივრცესთან ბრძოლაში. მუშაობს ბემოვოს ქალაქის სპორტული კომპლექსის ცენტრის და სპორტული სკვერის დაპროექტებაზე. BudCud ამჟამად მუშაობს ჟელონა გორაზე ათასწლეულის პარკის განახლების კონცეფციაზე და კრაკოვთან ახლოს სასმელი წყლის რეზერვუარის სარეკრეაციო მიზნებისთვის გამოყენების სტრატეგიაზე.

სტუდიომ ლოძში, ms2-ში შექმნა გამოფენის „მოდი და ნახე რას ვაკეთებთ“ ინტერაქტიული გარემო, რამაც ვიზიტორებსა და საგამოფენო სივრცეს შორის ურთიერთდამოკიდებულება გამოსცადა.

**კაროლ შპარკოვსკი, კამილ მიკლაშევსკი**
**+48 საპროექტო გუნდი**

საპროექტო გუნდი შედგება არქიტექტურის ფაკულტეტის (PW) კურსდამთავრებული 3 ახალგაზრდა არქიტექტორის კაროლ შპარკოვსკის, კამილა მიკლაშევსკისა და აგატა ფილიპეკისგან. გუნდი მოღვაწეობს 2008 წლიდან. ლოძის არქიტექტურისა და დიზაინის ცენტრის მიერ ორგანიზებული „Awangarda Jutra" პროექტის ფარგლებში გუნდი დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პოლონურ არქიტექტურულ სტუდიოდ 16 სტუდიოს შორის. თავიანთ ნამუშევრებში განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ საზოგადოებრივი სივრცის ინდივიდუალურ ასპექტებს და მომხმარებელთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რომელიც ქმნის ქალაქებისა და სოფლების ზოგად ხასიათს. მათ ჯერათ, რომ საზოგადოებრივი სივრცე არის ადგილობრივი საზოგადოების მისწრაფებებისა და საჭიროებების განსაკუთრებული გამომხატველი.

*The project is financed within the programme “Promoting Polish Culture Abroad 2016 Promesa” of the Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.*

გუნდი არის შემდეგი პროექტების ავტორი: ხის მორის სახლის პროექტი, რომელიც დაჯილდოვდა რიგით მე-6 20 + 10 + X არქიტექტურის დაჯილდოვებაზე; ვარშავის სამი ჯვრის პროექტის განახლება. პროექტი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით; იოანე პავლე II სახელობის სკოლის პროექტი ჰაიტში, ჟაკმელში. 2012 წელს არქიტექტორთა პალატის მიერ ორგანიზებულ კონკურსზე პროექტმა მოიპოვა II საპრიზო ადგილი; შიტნო-შიმანის აეროპორტის ტერმინალის პროექტი (III საპრიზო ადგილი. 2013); ვროცლავში შვიდნიცკას და კაზიმირ დიდის ქუჩების გზაჯვარედინის რეკონსტრუქციის პროექტი (საპატიო სიგელი. 2011); ქალაქის მერიის მოთხოვნით შეიმუშავა ბიალოსტოკის სინაგოგის რეკონსტრუქციის პროექტი (საპატიო სიგელი. 2014). არქიტექტორები მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებში განხორციელებულ პროექტებში და პოლონეთის დახმარების მიმღებ ქვეყნებში (უკრაინა, საქართველო, ბელორუსი, ტაჯიკეთი).

**მარჩინ კვეტოვიჩი**

დიზაინერი მარჩინ კვეტოვიჩი კომერციული მიმართულების გარდა ხელოვნების ბევრ სხვა სფეროშიც მოღვაწეობს. პოზნანისა და ვარშავის გალილუს საპარფიუმერიო მაღაზიის ინტერიერის გარდა იგი არის ვ. კოტეცკთან და ა. სალომონთან ერთად თანამედროვე ხელოვნების უაზდოვსკის სასახლის ცენტრის დაბრაზის თანაავტორი ერთად), ვარშავაში სოლიდარობის გამზირზე ავანგარდის ინსტიტუტის ედვარდ კრასინკის სტუდიო შენობის სახურავზე (როტერდამის ბარ არქიტექტორთან ერთად) და ვარშავის არტ ჰაუზის/სტუდიოს (პ. ბრზოზა) თანაავტორი, რომელიც რიგით მე-8 20 + 10 + X კონკურსში დაჯილდოვდა WA ჯილდოთი. იგი არის გამოფენების (მათ შორის ვენეციის ხელოვნების ბიენალეს პოლონური პავილიონი) ავტორი და ფილმისა (არტურ ზმიჟევსკის "რეპეტიცია") და თეატრის (ივან ვირიპაევის ივლისი) სცენოგრაფისტი. მისი პროექტები გამოქვეყნდა ჟურნალებში Wallpaper, Architecture - Murator, Architecture & Business და ასევე ინტერნეტ პორტალებზე (deezen.com , architektura.pl).

*The project is financed within the programme "Promoting Polish Culture Abroad 2016 Promesa" of the Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.*

**ნინო იმნაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. ასწავლის არქიტექტურული დიზაინის საფუძვლებს, საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობა-ნაგებობების არქიტექტურას: არქიტექტურული დიზაინი, არქიტექტურული კონტექსტი, სამრეწველო და სატრანსპორტო შენობა-ნაგებობების არქიტექტურა. ხელმძღვანელობს სემინარებს თანამედროვე არქიტექტურული პრობლემების კვლევებზე. მონაწილეობდა ზაფხულის საერთაშორისო სკოლაში ბათუმში (საქართველო). არის მრავალი სტატიების ავტორი და სტუდენტთა არქიტექტურული პროექტირების ხელმძღვანელი.

**ექსპერტები:**

**ვოიჩეხ შპოჩინსკი**

განვითარების პოლიტიკის ფონდის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი; განვითარებად და ტრასფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში არასამთავრობო სექტორის და ადგილობრივ თვითმმართველობის მრავალი პროექტის ექსპერტი. მათ შორის, ექსპერტი პროექტებისა თემებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრირება (საქართველო, ბელარუსი) და საზოგადოებრივი სივრცის ხარისხი (გოლაია-პრისტანი, უკრაინა, კომაროვო, ბელარუსი, ტუნისი). არის ვარშავის უნივერსიტეტისა და სტრასბურგის პოლიტიკური მეცნიერების სკოლის კურსდამთავრებული.

**სილვია შპარკოვსკა**

განვითარების პოლიტიკის ფონდის დირექტორატის წევრი; განვითარებად და ტრანსფორმირებად ქვეყნებში არასამთავრობო სექტორის და ადგილობრივ თვითმმართველობის მრავალი პროექტის ექსპერტი. მათ შორის, ექსპერტი პროექტებისა თემებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ჩართულობა (საქართველო, ბელარუსი) და საზოგადოებრივი სივრცის ხარისხი (გოლაია-პრისტანი, უკრაინა, კომაროვო, ბელარუსი, კაირუანი, ტუნისი). ჯანდაცვის მენეჯმენტის პროექტის

*The project is financed within the programme "Promoting Polish Culture Abroad 2016 Promesa" of the Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.*

ჟურნალისტი, ექსპერტი და კონსულტანტი; ჟურნალების „პრაქტიკული მედიცინა“ და „რეჩპოსპოლიტა“ ჟურნალისტი.

პროექტებსა და პარტიონერებზე დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ შემდეგ ვებ-გვერდებს:

www.fpr.org.pl

http://www.soeasty.eu/

https://www.facebook.com/So-easy-331201520389266/?fref=ts

http://temi-community.com/

http://www.bikeandwine.org/

http://www.gtu.ge/

*The project is financed within the programme "Promoting Polish Culture Abroad 2016 Promesa" of the Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland.*